საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-12/14683
24/12/2020

14683-2-12-2-202012241412

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 11.12.2020 წლის #11764/01 წერილის პასუხად, რომელიც ეხებოდა მარტვილის მუნიციპალიტეტში, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სალხინო-დადიანების სასახლესთან მისასვლელი საავტომობილო გზის კმ 5+530-ზე, მდ. ვახაზე არსებული სახიდე გადასასვლელის ნაცვლად ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე თქვენ მიერ წარმოდგენილ კომენტარებს, გიგზავნით კორექტირებულ დოკუმენტაციას და აქვე გაცნობებთ შემდეგს:

- მდინარე ვახას მინიმალური და საშუალო ხარჯის შესახებ ინფორმაცია მოცემულია გზშ-ს ანგარიშის მე-5 დანართში და ცხრილი 3.3 -ში გასწორებულია ჰიდროლოგიური ანგარიში, სადაც ასახულია მეთოდოლოგია ფორმულების სახით და გაანგარიშება მოხდა პროგრამულად, რაც შეესაბამება მეთოდოლოგიას.
- საპროექტო სახიდე გადასასვლელი ბურჯებსა და საყრდენი კედლების წინ მოწყობილია რენოს მოქნილი ლეიბი ზომებით 3.0 X 0.3 X 78 მ, რომელიც მშენებლობის ეტაპზე სარეგულაციო კედლებთან და ბურჯებთან ჩაანკერდება და ბაგირით გადაებმება ერთმანეთს. აღნიშნული რენო ლეიბები საპროექტო ხიდის ბურჯებსა და სარეგულაციო კედლებთან ერთად ჩართული იქნება წარეცხვის წინააღმდეგ მუშაობაში.

დანართი: - გარემოზე ზემოქმედების ანგარიში - 1 (ერთი) წიგნი;
- არატექნიკური რეზიუმე - 1 (ერთი) წიგნი;
- Shp ფაილები - 1CD დისკი.

პატივისცემით,

ალექსანდრე თევდორაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

20850
29 12 2020